

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია  
პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში.  
თვიური ხელის მოწერითა თვის გახეთი  
ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

«... ამიერ კავკასიის ნაწილებით დანაწილება, თვითუკლები წინასთავის მის-მისი ტერიტორიის მისომეა—ეს ძველი ფეოდალური დროინდელი ახროვნება, ეს წინანდელი ურთიერთობის გამოხატულება...»

ტერიტორიალური პრინციპი არ გულისხმობს ნაციონალურ ბრძოლას მხოლოდ მაშინ, როცა ამ ტერიტორიაზე მოსახლეობს ერთი ერის დიდი უმრავლესობა. საქართველო არ არის ასეთი ტერიტორია... ჩვენი ქვეყანა ნაციონალურათ უფრო და უფრო ჭრეაღება. ასეთ პირობებში ქართველობის გაბატონება მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს, რაც ნიშნავს ძებნად ნაციონალიზმის გამარჯვებას, ეს იქნება მუდმივი საერთაშორისო ბრძოლა მატარებ ტერიტორიაზე»...

ნარჩენი (ნ. შორდანი). ნაციონალური კითხვა ჩვენში. 1913 წ.

### საბარტოვლეს გლოვად თუ პრანგვლის?

სახელგანთქმულ მარქსისტების და შეუღლებულ რევოლუციონერების—მენშევიკების ათქმის სამი წლის მმართველობის საქართველო ფინანსიურ-ეკონომიკურ კრიზისის უფსკრულში გადავადო. ეს კრიზისი ერთ და იმავე დროს მიზეზიც არის და შედეგიც არა მარტო შრომის ნაყოფიერების დაკლებისა, არამედ უმთავრესად იმ სიმდიდრის გამოღვევის, რაც დავროვდით იყო საწყობებში და ცეხიანობებში იმ უაზრს, რადესაც ქართველმა მენშევიკებმა ნაციონალისტური თვითგამორკვევა მოახდინეს. ეს სიმდიდრე ან მოხმარებული პირდაპირ, ან და სახლგარეშის ვალუტაზე გადაცვლილი. ამ საყოველთაო კრიზისს უკიდურესად ამწვავებს ქვემოთ ნაეთის უკონტროლო, რაც ჩვენი ქვეყნისთვის შეგნული მომავლის მომასწავებელია. ბუნებრივია, როცა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნის მენშევიკები აზერბაიჯანისკენ—ამ ნაეთის სამეფოსკენ იყურებინ. ისინი მოითხოვენ ბაქოს საბჭოთა მთავრობისგან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას. ამას წინადაც. «ერთობა»-მ ულტიმატუმზედაც კი ჩამოაგდო სიტყვა იმის გამოსარკვევით: მტერია თუ არა აზერბაიჯანი საქართველოსი? რაღა თქმა უნდა, აზერბაიჯანის მშრომელი ხალხი მტერი არ არის საქართველოს მშრომელების, და სტრუქტურული განწყობილების მაჩვენებელი არას შემთხვევაში არ ჩიოვდება ის ვარაუდობა, რომ ბაქომ აქამდის არ მისცა საქართველოს ნაეთი, მახუთი, ბენჯინი და სხ. შეიძლება მენშევიკებსაც კი მოეხსენებოდეს, რომ მათ სათაყვანებელი, დასავლეთის იმპერიალიზმმა თავდაყირა დააყენა ყველა ცნებანი, მათ შორის ცნება—საქონელი.

ამხანად, როცა სწარმოებს გადაშტორელი შეტაკება კაპიტალისა და შრომის დასათრუნებად, საქონელი აღარ წარმოადგენს უკვე მხოლოდ სავაჭრო საგანს, რომლის დანიშნულებაა ფულზე გადაცვლა ახალი საქონლის შესაძენად. გამხეცვლულმა იმპერიალიზმმა ყოველი ღირებულება—ეს შედეგებული შრომა ადამიანის, გადააქცია თავის უაზრლო პოლიტიკის იარაღად, და ასეთი „იარაღით“ ის უკეთ ამარცხებს თავის შეუფერებელ მტერს—პროლეტარიატს, ვინც ყუმბარებით, ტყვისმყრველებით, დრენოვლებით და ტანკებით. ნაეთი წინეთ თხელ ოქროთ იყო მიჩნეული, დღეს კი, როცა გააფთრებული იმპერიალიზმი თავის პრეკულებით სერავს პროლეტარიატის ხელს, დღეს ნაეთი პოლიტიკის და არა ვაჭრობის საგანია უმთავრესად. როცა ბაქოში ინგლისელები და მენშევიკების ახალი მოკავშირეები—მუსავატელები იყვენ გამეფებული, ერთ წვეთ ნავთს არ უშვებდენ საბჭოთა რუსეთისკენ, თუმცა ბაქოში ნაეთის დასატევი ალაგი არაა იყო. უნაეთობის გამო საბჭოთა რუსეთი სიბნელეში მოიკცა, შეწყდა რკინის გზების მუშაობა, გაჩერდა ქარხანა—ზაოდები: ბლოკადამ ჯოჯობით დაატრიალა იქ. ამ სურათის შემხედვარე მენშევიკებიც სიბითობდენ მაშინ უმგვანოთ და თავის მორჩილ მრევლს ჩასჩინებდენ: იმ როგორ დაანგრეს ბალშევიკებმა რუსეთი, არ იფიქროთ მათი მიზანვაო.

როცა წლის ჯოჯობით პროლეტარიატის ბრძოლით საბჭოთა მთავრობამ გზა გაიკვლია ნაეთის წყაროსკენ—აიძულა რა ინგლისი მიეტოვებია, როგორც აზერბაიჯანი, ისე საქართველოც. საბჭოთა აზერბაიჯანი დღეს ნაეთის პატრონი, ძლიერია ეკონომიკურათ, მარა ათჯერ უფრო ძლიერია პოლიტიკურათ სწორეთ ნაეთის წყალობით. და ადვილი გასაგებია, რომ ის ამ ძვირფას სითხეს არ უყურებს, როგორც გაცვლა-გამოცვლის, აღებ-მიტოვების საგანს მხოლოდ. ნაეთს ის არ აძლევს და ვერც მისცემს მუშა—გლეხთა საბჭოთა ძალაუფლების მოსისხლე მტერს. აზერბაიჯანის მუშები ტ გლეხები ამჯობინებენ მოთმინონ, აიტანონ მრავალი აუცილებელი საგნების, წამლები და სხ. ნაკლებობა, ოღონდ არ ჩაუვადონ ხელში იმპერიალისტებს ნაეთი, რომელიც გაუაღდვილებს მუშა გლეხების მოსისხლე მტერს საბჭოთა ომის გაგრძელებას, ამოძრავებს მათ რკინის გზებს, მათ სამხედრო გემებს, ჰაეროპლანებს, ტანკებს მშრომელთა დასახრობათ.

რომელ ბანაკს ეკუთვნიან ქართველი მენშევიკები? მათი ფიციით და პირჯვრის წერით—ისინი უკარება ხალხია, არც ბოლშევიზმის სწამთ არაფერი და არც იმპერიალიზმთან და მის დამკავებთან აქეთ რაიმე საერთო. მარა ფიცი და პირჯვრის წერა ეგებ მატინგებზეა გამოსადეგი. საჭიროა დამატკიცებელი ფაქტები. ფაქტები კი ჯერ ჯერობით მათ წინააღმდეგ ლაღადებენ. თუ მენშევიკებს შერჩენიათ კიდევ უნარი გულახდილი პოლიტიკის წარმოების, მათ ყოველგვარი ნამდვილით და არა სიტყვიერი, გარანტიები უნდა გამოიმუშაონ, მათ შეუძლებელი უნდა გახადონ ბაქოს ნაეთის გაზოღვა საქართველოდან იმპერიალისტებისა და თეთრგვარდიელების სამფლობელოსკენ. ასეთ შეთხვევაში ბაქოს პროლეტარიატი მისცემს საქართველოს ნაეთს, როგორც არ უნდა იფასებდეს ის მენშევიკების პოლიტიკას და ეკონომიკას. საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობა—ჩვენ ამაში სრულიად დარწმუნებული

ვართ,—ფიქრითაც არ გავივლებს ხელოვნური დაბრკოლებებით კიდევ გააუარესოს საქართველოს მუშების და გლეხების ისედაც დატანჯული ყოფა-ცხოვრება. სწორედ ასე დასვა საკითხი ამას წინათ ბაქოს მუშათა დებუტატების საბჭომ. რომელმაც საჯარო საქ. კომისიარის ჰუსინოვის მოხსენების გამო დაადგინა საქართველოსთვის ნაეთის მიცემა, თუ სიმელო გარანტიები იქნა განხორციელებული.

ბაქოს პროლეტარიატი ნაეთის არგავებით ბლოკადას უტყდადებდა ანტანტას და ვრანგელს და არა საქართველოს. ანტანტას სამხედრო გემები, რომლებიც აქამდის ბათუმის გარე სადგურზე იყვენ, დღეს ბათუმის ნაეთსადგურში შემოსულან. ბათუმში თავდება ბაქოს ნაეთის სადენი მილი. ამიტომაც ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე საჭიროა საქმე და მხოლოდ საქმე, საჭიროა ზომების მიღება, რათა ბაქოში გადმოქაჩული ნაეთი სხვა და სხვა მომსახურებით, ფარულად თუ აშკარად არ ჩაიგდოს ხელში ანტანტამ ბარონ ვრანგელის განწირული მიმქრალი ფრონტის განმოსაცოცხლებლათ. მაშინ და მხოლოდ მაშინ ჩვენ მივიღებთ ბაქოს ნაეთს, რომელიც რამდენიმეთ გამოიცოცხლებს ჩვენს მიმქრალს ეკონომიურ ცხოვრებას.

### ადგილობრივი პრესა.

სიბერედა სიქაჩლეო.

ფედერალისტებმა მოუხმირეს ლაბარაკი მენშევიკებთან გაერთიანებაზე და მერე იცით, როგორ ინაზებინან? ამ მოუხმინოთ თითონ „სახალხო საქმეს“.

«მაგრამ არის დიდი საკითხი, რომელიც ვეთიშავს და გვაშორებს ერთმანეთს—ესა აგრარული საკითხი. მიწის სოციალისტური დღეს ჩვენთვის ისეთივე საბრძოლველი საგანია, როგორც იყო წინათ ჯოჯობილი უფლებების დაცვა. ბრძოლა მიწის სოციალისტისათვის პირდაპირი მისიაა და ამ ნიადაგზე ჩვენს პარტიას არაფრის დათმობა შეუძლია».

ეს რაა კიდევ—თქვენ ქვევით ნახეთ: «ჩვენ არ გვაქვია მოვალეობა მენშევიკების გაუფრთხილებაზე და მოვალეობა მათი ოპორტიული პოლიტიკა, მათი ტუქტიკა ჩვენთვის მიუღებელია, შოვითხოვთ მეტ აქტიუობას და სხვა და სხვა».

რომელი იუმორისტი შეადგენდა მენშევიკებზე ამის მსგავს კარიკატურას ამ ხუთი წლის წინათ! ნაუკვამია—სიბერედა სიქაჩლეო. მაგრამ რაკი დღეს გულწრფელი სამ. ფირცხალავა ასეთ გულწრფელ სტრიქონებს სწერს, უნდა ვიფიქროთ, რომ მენშევიკები მთლათ გაქაჩლებულან. ეს ასეც არის. მაგრამ ეს არ არის იმის მიზეზი, რომ ქაჩალთა დაბადებული ფედერალისტები გაქაჩლებულ ნენშევიკებს არ უერთდებიან. ამის მიზეზი ისაა, რომ ოპოზიციონერობა და ისიც წმინდა ფედერალისტური—დიდათ საჭიროა როგორც მენშევიკებისათვის, ისე ფედერალისტებისათვის. ამას მოითხოვს წესი და რიგი, პარლამენტარიზმი და სხვა. თვარა არსებობდა მათი ოპოზიციი იმ ორი ქაჩლის საქციელს გავს, ერთმანეთს რომ სავარცხლის გულსთვის თავ პირს ამტკრვდენ.

მარქსისტული თვალთსარისით სახელმწიფო მხოლოდ კლასობრივი შეიძლება იყოს. ზეკლასიური სახელმწიფო არ არსებობს. ახლა მოუხმინოთ რას ამბობს

გაქაჩლებული მარქსისტი, «ერთობაში» რომ მოღვაწეობს. ის ადარებს მარჯვენა და მარცხენა ბანაკს, «საქართველოს» და «კომუნისტს» და ასეთ დასკვნას აკეთებს: «ასეთია ეს ორი ბალშევიზმი. არც ერთს არ სწამს სახელმწიფო, არც ერთს არ აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნება. ისიც ვიწრო კლასობრივი, უკეთ ვთქვათ, ჯგუფური ინტერესების ნიადაგზე დგას, ისეც. ის ფიქრობს ბურჟუაზია უნდა გამეფდეს, ეს მუშაგლეხების დიქტატურას ვაფრვდის».

შემდეგ ის გვებასება კაპიტალიზმზე, რომელიც თურმე საბჭოთა რუსეთშიაც კარგათ გრძნობს თავს. არა გვერათ? აი სიტყვა სიტყვით:

«საქართველო» თუ კარგათ გვიცნობს, ეცოდინება, რომ ჩვენ—შუაგზით—მიზანალებს არ გვეჩქარება სოციალიზმი (ან რა საჩქაროა თქვენთვის! მეტრესე). გავგეგვათ, რომ სიჩქარით არ გავკეთდება ეს დიდი საქმე. ჯერ კაპიტალიზმი არსებობს არა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ის კარგათ გრძნობს სოციალისტურ რუსეთშიც, ის არსებობს აქაც, ამ დემოკრატიულ სახელმწიფოში»

რა შედეგა მოსდევს კაპიტალიზმის განვითარებას:

«მსოფლიო ომამდის კაპიტალისტურმა ძალებმა შექმნეს აუარებელი სიმდიდრე, ის სიმდიდრისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ეკონომიური კრიზისი, საიდანაც დაიწყებოდა სოციალისტური რევოლუცია. მსოფლიო ომის შემდეგ კი სიღატაკისაგან იწყება ეკონომიური კრიზისი».

რა ბელი მოელის კაპიტალიზმს დღევანდელი კრიზისის გამო? ის თურმე უნდა გამოითქვოდეს, ხელმეორეთ დაავროგოს სიმდიდრე და შექმნას ისეთი კრიზისი, რომელიც უშეკვლათ სოციალიზმისკენ გაუკავებს გზას. არ ვიცით მხოლოდ, რა გვეშელება, თუ ისეც ომი ჩაეჩიროა საქმეში და სოციალისტური ხალხი გაგვიბრუნდა. ალბათ ამ შემთხვევაში კიდევ უნდა გამოითქვოდეს კაპიტალიზმი და ასე დაუსრულდებლათ. ეს კაპიტალიზმის გამოითქვება ისე ლამაზათ აქვს აწერილი ავტორს, რომ ცოლდავა ის სიტყვა—სიტყვით არ მოვიასმინოთ:

«არა კმარა კაპიტალიზმის დასამარცხებლათ მარტო სამოქალაქო ომი. ჩვენ, «შუაგლეხები» ვფიქრობთ, რომ სასიკვდილოთ დაჭრილი კაპიტალიზმი უნდა გამოითქვოდეს, ისეც უნდა დაიკავოს ადგილი წარმოებაში. ის უფრო მომსახურებს ნიადაგს სოციალიზმისთვის, ვიდრე «კომუნისტ».

«Комунизм»-ის სოციალისტური რევოლუცია. რა უფრო მეტია ამ ამონაწერში—ცინიზმი თუ სიბრყვევე? ერთიც და მეორეც თავსაყრელათა დაბნეული, ვინაიდან თვით «ერთობელების» სათაყვანო კალუკინი, რომელიც ამ წლიანხევრის წინათ მთელი წიგნი დაწერა ბოლშევიზმის წინააღმდეგ: ასეთი სითყვეებით ვათავა თავისი შრომა: «მთელი ქვეყნის პროლეტარიატი მოძრაობაში მოვიდა და მისი ინტერნაციონალური ზედგავლენა (Давление) საქარისათ ძლიერი იქნება, რომ მივირდიან ყოველი ეკონომიური პროგრესი მიმდინარეობდეს არა კაპიტალისტურ, არამედ სოციალისტურ მიმართულებით (Тероризм и Комунизм, ბერლინი 1919 წ. გვ. 227). მაგრამ რას დაგიდევინ «ერთობელე» თუნდაც მათი ავტორიტეტის ასეთ აზრებს. ისინი ისეთ გაუფლ კაობში ამოივანგლენ, რომ უსიარცხელით ატ-

ყუბენ მუშებს,—დღეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში აღარ არის ბურჟუაზიის დიქტატურა და იქ კაპიტალისტური კლასიც საზოგადოებრივი ინტერესებისკენ მიისწრაფვისო. იქნება არც ეს გვერათ? აი მოვიყვანთ ამ მარგალიტსაც და თქვენ დასტკბით მისი ხილვით:

«დღეს ანარქიას, კერძობას ბოლო ედება თანდათან და ყოველი განაპირა ხაზი ემორჩილება შუაგულ წერტილს. დღეს ბურჟუაზიული სახელმწიფოც საზოგადოებრივი ინტერესებისკენ იხიდავს კაპიტალისტურ კლასს, ახლა აღარც ამისთანა სახელმწიფოებშია ბურჟუაზიის ძველებური დიქტატურა».

ასეთი აზრების პატრონებს მთელი ეკონომიური თათბირებიც მხოლოდ იმისთვის სდომებიან, რომ ეთქვათ:

«არ გავიგონებთ ამიტომ არც «საქართველოს» და არც «კომუნისტის» რჩევას. შევიწინააზვთ საკუთარ სახლს (!) განვავარდობთ «შუა გზურ» პოლიტიკას».

განავრძეთ, ბატონებო, ეს არსებობათ ვეროლუბურჟუაზიული პოლიტიკა, სანამ კიდევ არის გამოსახრავი ძვალი. წვრილბურჟუაზიის მხოლოდ ხვრა შეუძლია და არა შექმნა. თანამედროვე ხანა კი უაღრესათ შეოქმედების ხანაა და ის შორს მოისვრის თქვენისთანა ბედით კმაყოფილ პოლიტიკოსებს, როდესაც აუცილებელი გახდება პროგრესული საწარმოო ძალთა ამოქმედება. და ეს დროც არ დაიგვიანებს.

### საბჭოთა რუსეთის პრესა.

ძალაუფლებისათვის ბრძოლა ჩინეთში.

ესლა ჩინეთი პოლიტიკურ ბრძოლის ქარცეცხლშია გახვეული. ეს ბრძოლა დიდი ხანია დაწყებულია და მას თავისი ისტორიაც აქვს.

ჩინეთის უკანასკნელ რევოლუციის შემდეგ იქ დაარსდა რეპუბლიკანური მარჯვა გამეგობა. ამ რევოლუციის შემდეგ სამხრეთ პროვინციების საზოგადოებრივ მოღვაწეებს (მეტე ნაწილი რესპუბლიკანელებია) და ჩრდილოელებს (სამხედრო-მონარქისტული ჩინეთის პარტია) შორის ჩამოვარდა სერიოზული დავა ძალა-უფლების საკითხში. ამ ბრძოლამ 1917 წლის შუა თვეებში ეს პარტიები აშკარა გათიშვამდის მიიყვანა. იმ დროს როდესაც გერმანიისთან დაწყებულ იქნა იმპერიალისტური ომი, ჩრდილოელებს სამხედრო პარტიამ პრემიერ-მინისტრ-დუანცუიუყუასა და გენერალ-ჩან-ცულისგან მეთაურობით მოისურვა ჩინეთის ამ ომში ჩათრევა.

სამხრეთელების წარმომადგენლები შუაში გამოსთქვამდენ ჩრდილოელების გაძლიერების გამო და ამიტომაც პარლამენტში ისინი აშკარა ოპოზიციოზი გადვიდენ: ჩინეთის მიერ გერმანიისათვის ომის გამოსაცხადებელი პროექტი, რომელიც პარლამენტში დუან-ცი-ფეიმ შემოიტანა, დიდის ამბით იქნა უარყოფილი. ამის შემდეგ დუანმა შეკრიბა განსაკუთრებული სამხედრო თათბირი ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციების დუანუნებისაგან (პრ. ჯარების სარდლები) რომელზედაც გადაწყვიტა მოეთხოვოს პარლამენტს ამ კითხვის გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, პარლამენტმა მაინც არ მიიღო ეს კითხვა და გერმანიას ომი გამოუცხადა და მხოლოდ მარტო პეკინის მთავრობამ პარლამენტის დაუდსტურებლად. სამხრეთელების დებუტატებმა დასტუგეს პეკინი და შეიკრიბენ კანტონში, სა-







# პარტიული ცხოვრება.

## თბ. მეოთხე რაიონის მეთოთხმეტე იაჩიკის კრება

19 ოქტომბერს მოხდა კრება მეოთხე რაიონის მეთოთხმეტე იაჩიკისა. კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე.

დღის წესრიგი იყო შემდეგი:

- 1) მოხსენება აშ. ლ.
- 2) იაჩიკის ბიუროს არჩევნები;
- 3) მილოცვა რუსულ კომუნისტს.

1. მოხსენება რა კრებამ მოხსენება აშ. ლ.—სი, რომელმაც ყოველ მხრივ გააშუქა მომენტო, იაჩიკამ სენო ის საფუძვლი დაამყაროვითლებდა.

2. ვინაიდან კრებას არ დაესწრენ ყველა წევრები, ბიუროს არჩევნები გადაიდო შემდგომთვის;

3. მოხსენება რა კრებამ დადგინებდა ცენტრალურ კომიტეტის, რომელიც უკვე მოიყვანეს სირულეთში: გამოსცეს ყოველ-დღიური რუსული გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“, რომელიც სრული გამოშვებით იქნება მუშათა ინტერესების, ერთხელ უსურვებთ მას და მის ხელმძღვანელთა პირნათლად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, როგორც მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი.

თავმჯდომარე ბ. მდივანი ა.

## ოზურგეთის რაიონი

კვირას, 3 ოქტომბერს შესდგა გვიანის და მოიღანახის ორგანიზაციის წევრთა შეერთებული კრება:

დღის წესრიგი იყო დასმული შემდეგი კითხვები:

- 1) მოხსენება ბაქოდან დაბრუნებული დელეგატის;
- 2) მოხსენება ადგილებიდან;

- 3) ორგანიზაციული საქმეები;
- 4) საწევრო ბათობების დარიგება და
- 5) განცხადებები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს აშ. X, რომელმაც ვაიკო კრებას, თუ რა მიზნით იყო მოწვეული აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობა ბაქოში, ვინ მოიწვია ის, რა საკითხები იყო დასმული ყრილობაზე და რა საშუალებები გამოიყენეს იქ ანტიანტის ბურჟუაზიის ბრტყალებიდან განსათავისუფლებლათ. ამასთან აშ. ვრცლად შეეხო საბჭოთა ყველა დაწესებულებების მდგომარეობას ბაქოში, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან საერთო მოქალაქენი ბაქოში და განსაკუთრებით მუშათა კლასი, რამაც მთელ კრებაში დიდი აღფრთოვანება და კმაყოფილება გამოიწვია.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს აშ. აშ. რომელიც ენება ადგილობრივ ორგანიზაციაში და იაჩიკებში მუშაობას.

მესამე საკითხის შესახებ სიტყვას ამბობს აშ. ვ.—ლი, რომელიც ეხება ორგანიზაციულ და პარტიულ მუშაობას, თუ რანაირად უნდა მოეწყოს შეუგნებელი და გაუვითარებელი ამხანაგების გათვითმობიერება, თუ რას უნდა აკეთებდეს თვითიული ამხანაგი და წევრი ჩვენი პარტიისა.

პარტიული მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა მოეწყოს ყოველკვირეული სამაციადინო დღეები, რომელზედაც წაითხულ იქნეს: მოხსენებები, გაზეთები, წიგნ-ბროშურები, პარტიული პროგრამა და ლექციები.

აირჩიეს მეთვთველთა წრეები. წრეში სამი ამხანაგი შედის.

გ.—ლი.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში.

### ბორჯომის ქარხნების მუშათა მდგომარეობა.

საქართველოში საერთოდ ძალიან გამწვავდა მუშათა მდგომარეობა და განსაკუთრებით კი ბორჯომის ქარხნების მუშების.

აქ არ ვიცით, თუ რა არის კომპერტიციებიდან საქონლის და სანოვანის დარიგება. სამ თვეში, ან ოთხ თვეში ერთხელ მოტანენ ან ბურს, ან შაქარს, ან კიდევ სხვა რაიმეს და დაიწყებენ „რიგებას“ და „განაწილებას“. მაგრამ, ვინ ამისთანა განაწილებას. პირველად დაირიგებენ გამგებობის წევრები მუშების, ბობოლეები (რასაკვირველია მენშევიკები) და სხვებს „კისრიც უტეხია“ ან შეხვდებით ან არა (სულზე ნახევარი გორგანქა რაიმე, საკმარისი სამ თვეში) „მორჩილებას“ დარიგებას სურსათ-სანოვანისას“ (თუ ყუთ მუშებს სამი დღე კარგია) და შემდეგ უნდა წავიდნენ „ბაზარში“ „მეშოკ“ გამოტყობილი იდლითაში, იარონ ისე და ეხვეწონ სპეკულიანტებს ორიოდ გორგანქა ბური, რომელის ყიდვასაც მუშებს ძვრებათ ტყევი.

მაგრამ საკმე იმავინა დიდხანს ყუბათ ეს ფული, მუშებს აქაურ მუშას ეძლევა 4000—4500 მ., შეითხველმა თვითონ გასაჯის სანამ ყუთავს ეს ფული აქაურ მუშას. რატომ არაფერია იმ კოოპერატივში არაყის მეტი? (არაყი რამდენიც გნებავთ მოიკითხეთ) არც გაზეთებიან ჩვენთვის და არც—სხვა როდესაც ყველა ამაზე მიუთითებთ ჩვენს „თავებს“ ისინი შაშინე საბჭოთა რუსეთს მივადრებთან ყელში და დაუწყებენ ლანძღვა-კინებას და ათასგვარ კორეს ავტორებენ მის შესახებ.

ცუ თუ არ გეშინიათ „ბოლშევიკების“ ბ. მენშევიკებო, რომ მათ ლანძღვა გინებას მოჰყვებით მაშინვე? რატომ იმათგან დებულბოთ მაგალითს? რე გეშინიათ ჩვენც ვიცით აქაური მოგომარეობა.

იქ არიან აქედან წასული მუშები და გამოწერენ წერილებს, რომ უკლებიერია რიგ-რიგზე და ზომაზე დებულბოთ და ყოველ ფუბის გადადგმაზე შკოლები და ბიბლიოტეკები არის მოწყობილიო. სულ ყველა სწავლობს და თქვენ კი, ბატონო მენშევიკებო, მოგვიწყვეთ საქართველოს მუშებს ყოველკე ნაბიჯის გადადგმაზე საბიკიტრო-დუქები შკოლების მაგიერ.

ექ (საბჭოთა რუსეთში) სოციალურ უზრუნველყოფილებაზე ლაპარაკი ზედმეტია რადგან ეს უკვე განხორციელებულია აქ კი ტყუილად ქადნულობთ, ბატონებო, თქვენ „დემოკრატიზმი“ ჩვენ მოგვიტანეთ მხოლოდ სიმშლი, სიბნელე და საბიკიტრო დუქები.

ახალგაზრდა მუშა.

სასხდვარ-გარეთ.

### ინდუსტრიალურ მუშათა კავშირი. (გაგრძელება იხ. № 75).

I. V. V. დემფუნებელ ყრილობაზე ჩიკაგოში ივნისში 1906 წ. წარმოდგენილი იყო 84 კავშირი 90000 მუშით. სოციალისტების ვაგუნით ახალ მოწყობილმა კავშირმა შეიტანა თავის პროგრამაში პოლიტიკური ბრძოლის ღონეუბები. ძირითადი მუხლი პროგრამის და ტაქტიკის კი იყო ახალი კავშირების მოწყობა, რომელიც გააერთიანებდა რომელიმე განსაზღვრული წარმოების მუშებს ცენტრ ნიშნებისაგან დამოუკიდებლათ. ძირითადი იაჩიკა საწარმოო კავშირის განყოფილებაა, რომელიც აერთიანებს ცალკე წარმოების მუშებს. შემდეგი საფეხური—ადგილობრივი საწარმოო კავშირია, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ სოფლის ან ქალაქის ძირითად იაჩიკებს. იმ რაიონში სადაც არა ნაკლებ 5 საწარმოო კავშირია, იწყობა რაიონული კოლექტივი. შემდეგ ადგილობრივი ერთი სახელის კავშირები თუკი მათი წევრების რიცხვი 3000 მეტი, შეადგენენ ნაციონალურ (სახელმწიფოს ფარგლებში) ინდუსტრიალურ კავშირს.

ორი ან მეტი მონათესავე ნაციონალური ინდუსტრიალური კავშირი ერთდება ინდუსტრიალურ განყოფილებაში. ეს განყოფილებები ყველა კუთხეების გაერთიანებული ერთ კავშირში, რომელსაც სათავეში ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი; აღმასრულებელ კომიტეტში შედიან თითო წარმომადგენელი ყოველ ნაციონალურ ინდუსტრიალურ განყოფილებაში. უმთავრესი პრინციპი ახალი პროგრამისა არის საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის საპროცედურის ცნობა. თვით სახელწოდება კავშირისა მივითითებს მთელი ქვეყნის მუშა ხალხს გაერთიანებისკენ ლტოლვას.

მართალია, განსაზღვრული გზა ამ მიზნის მისაღწევით პროგრამას არ უჩვენებია; დანიშნულია მხოლოდ მუშაობის შედეგები. „ინდუსტრიალური მოწყობა“ მით ჩვენ ვიარსებთ ახალ საზოგადოების იაჩიკებს ძველი წესწყობილების ფარგალს ქვეშ, ჩვენ უნდა დავეწეროთ ჩვენს დროსაზე რევოლუციონური ამოცანილი—დაქორავებული შრომის სისტემის გაუქმება“ (პროგრამა I. V. V.) ჯერ კიდევ თავის არსებობის პირველ თვეებში I. V. V. კავშირის წევრებში თავი იჩინა ბუნებრივმა ლტოლვილებამ პროგრამის განყენებულ ღონეუბებში ცოცხალი შინაარსის შეტანის, მისი ტაქტიკის კონკრეტულად დაშუშვებისა. ამ შენობევიამ გამოაშკარავა შემადგენლობის სხვა და სხვაობა. სოციალისტები მოითხოვდნენ პოლიტიკური ბრძოლის განსაზღვრულ ტაქტიკის შემუშავებას. კავშირის წევრთა უბრალო მასსა, აღზრდილი „ამერიკის შრომის ფედერაციის“ ლოზუნგით: „პოლიტიკა კავშირის გარეშე“—გაჰყვა ანარქისტებს, რომელნიც ვაიძახოდნენ „ძირს პოლიტიკა!“ ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მასსა იზიარებდა ანარქისტების თვალსაზრისს და არც იმიტომ, რომ ეთომის ერეკვიოდა სოციალისტ-ობორტუნიტების პარლამენტარულ ტაქტიკაში, არამედ მოხდა ეს იმიტომ, რომ ანარქისტების ლოზუნგი, რამდენად ეს ეხებოდა პროფესიონალურ კავშირებს—ეფარდებოდა „შრომის ფედერაციის“ ყოველ წევრების ძველ ჩვეულებას, რომელიც სტანდენდ მხოლოდ საწარმოო კავშირების აპირიებას. შინაური ბრძოლის შედეგის კი იყო, რომ სოციალისტური ნაწილი აშ. დობის მეთაურობით 1906 წელში გამოვიდა კავშირიდან. მეორე გამოჩენილი სოციალისტი აშ. დელიონი გამოირიცხული იქნა ორგანიზაციიდან და შეუდგა სოციალისტურ საწარმოო კავშირების დაარსებას. (საერთაშორისო ინდუსტრიალური მუშათა კავშირი). განსვენებული აშ. დელიონი ამერიკულ სოციალისტურ მუშათა პარტიის მეთაურია. ეს პარტია ეხლა შესაბრალებულ მდგომარეობაშია. საერთაშორისო ინდუსტრიალური მუშათა კავშირი იზიარებს მის ბუდს. 1908 წელში I. V. V. მეოთხე ყრილობაზე კავშირის პროგრამიდან სრულად იქნა ამოშლილი პოლიტიკური ლოზუნგები. კავშირის მთელი ყურადღება დაყრდნობილია ეკონომიურ ბრძოლაზე მას უხდება ბრძოლა, როგორც კაპიტალისტთან ისე შრომის საშუალებით არ თაკილობს, რომ მიაყენოს რაიმე ენება კავშირს. მაგრამ ტყუილათ დღესასწაულობდნენ ანარქისტები გამარჯვებას: კავშირმა უარი სთქვა პოლიტიკურ ბრძოლაზე, მაგრამ არ მიიღო ანარქისტების რწმენა.

კავშირის ორგანიზაციის ფორმა ქმნის მას საშიშარ ბრძოლას ამერიკის კაპიტალისტისთვის. კავშირი ვითარდება ნელა. 1913—1914 წელში მას ყავდა მხოლოდ 120,000 წევრი, იმ დროს, როდესაც „შრომის ფედერაციაში“ შედიოდა 1,996,004 კაცი, მაგრამ ბურჟუაზისთან სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელმაც მოითხოვა ადამიანთა მრავალი მსხვერპლი, კავშირი I. V. V. მაკრდება და ერკვევა თავის ორგანიზაციის ნაკლებანებაში. ამ დანაკლისს შეადგენს უმთავრეს ნაწილათ გადაშტეტებული დემენტრალიზაცია

### ა. სტეკლიცი. (დასასრული იქნება)

## პროვიზიის ცხოვრება.

### ავროპის დელეგაცია ფოთში.

როგორც სხვაგან ისე ფოთშიაც მენშევიკები ღირსეულათ შეხვდნენ ევროპიდან მოსულ „სტუმრებს“. აქც მთელი ერთი კვირა გაფაციცებით ემზადებოდნენ.

ფოთის ნავთსადგურის პროფესიონალურ კავშირის გაშვების წევრმა პეტრე სეფერიელადემ „სტუმრების“ ჩამოსვლის წინა დღით შეუყარა თავი ნავთსადგურის 600 მუშას და განუცხადა: ხვალ მოველით ფოთში ევროპიელ სტუმრებს; არაგინ არ დააკლდეთ ყველა გამოყვით ჩვენს დროს; ვინც არ გამოყვება კავშირიდან გამყვებული იქნება“. მეორე დღეს საათის 11 იქნებოდა მენშევიკები დროში გაღმინდან ქალაქისკენ დაიძრნენ, სადაც მათ, მიუხედავად ვათ სეფერიელის ბ. სეფერიელის წინადადებისა, მხოლოდ 35 მუშა მიყვებოდა და ისიც იძულებული.

ქისკენ დაიძრნენ, სადაც მათ, მიუხედავად ვათ სეფერიელის წინადადებისა, მხოლოდ 35 მუშა მიყვებოდა და ისიც იძულებული.

საათის 12 ზე მენშევიკები დროშით ვაგზისკენ გაეშურნენ, სადაც მათ მხოლოდ 15 ტი მუშა მიყვებოდა. დროშის გამყოლი კომპანია შეიგეს 20 მდე ბაზირის სპეკულიანტებით რომლებიც სიცოცხლისათვის მიყვებოდნენ მენშევიკების დროშას. საათის პირველზე მარაბრებელიც მოვიდა „სტუმრები“ 1 ლკლასის ბუფეტში შეიყვანეს.

ამასთანავე მენშევიკებმა სტუმრების მოსვლის წინა დღით შეხვედრეს ჯამაგირის დარიგება ნავთსადგურის მუშებს აცალეს თითოეულ მათგანს ას ასი მანათი ვითომ ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. სინამდვილეში კი აღბათ ბანკეტების მოსაწყობათ.

იყო შემთხვევები სადაც გაჯაგრებულ მუშები მათ მოცემულ ბილეთსაც ტოვებდა და ფულსაც; მენშევიკები კი ვინც არ გაღმინდა კავშირიდან გაძევებით ემუქრებოდნენ. მენშევიკების ასეთმა საქციელმა დიდი უკმაყოფილება დაბადა ნავთსადგურის მუშებში.

დაარაჯი.

### ჩონხატაური.

ყველასათვის ცხადია, რომ მთელი ზემო გურიის აერთებს სხვა საზოგადოებებთან და, რაც უფრო საფულისხმოა, რკინის გზასთან, ჩონხატაურიდან დაწყებული სადგურ საჯავახომდი მიმავლი, ვერულ წოდებული, სახელმწიფო გზა.

ეს გზა ზემო გურიის გასაღები კარია, ამ გზით ლებულას დაახლოებით ოცი თემი ყოველივე მათთვის საჭირო ვარედან შემოტანილ საქონლს; ამ გზით გადააქვთ ყოველი შინაური საწარმოები რკინის გზის სადგურზე; ამავე გზით მოაქვს ზემოსხენებულ თემებს მთელი წლის სარჩო—სიმინდი მოწველი მდინარე რკინის პირზე; ამავე გზით სარგებლობდა დღემდე ყველა მთავრობა ომიანობის ან სხვა შემთხვევის დროს.

ერთი სიტყვით. ეს გზა მარსებელია მთელი ზემო გურიის; დახურეთ ეს გზა და მთელი აღმოსავლეთი გურია დარჩება მოწყვეტილი სხვა დაბა სოფლებს. მკითხველი იფიქრებს, რომ რაკი ეს ასეთი აუცილებელი გზა ყოფილა, უსათუოდ დიდი ყურადღება ექნება მიტეულიო, მაგრამ ეს ასე არ არის, თვითმეორელობის დროს ამ გზას წელიწადში ერთხელ უსათუოდ აფრიდენ დატენილ ქვეშ, ყველა ხუთ ვერსზე ფითო დარაჯი იყო, რომელიც მუდამ დღე მუშაობდა გზებზე და ჟულიდა მას.

მაგრამ რას ვხედავთ დღეს? სამ წელზე მეტია, რაც რომ ეს გზა გაუშუქებულია. მდინარე ხეისწყალს პირზე ოთხი ვერსის მანძილზე, სადაც კარგ დარშიც კი და ისიც ზაფხულშიც ბერიანათ გასულა შეუძლებელია, ზამთრობით და წვიმიან დღეებში ხომ ლაპარაკი უნდებოდა... გაყვებისათვის არაგინ არ ზრუნავს ხალხი ვაჭირებს განიცდის და ამბობს: თუ სახელმწიფოს არა აქვს საშუალება ვაკეთების, ჩვენ დავაკისროს და ცოტათი მაინც შევაკეთებთო; მაგრამ არც ამის კაცი სჩანს, ხშირათ შეხვდებით ჯგუფათ თავმოყრილ ხალხს, რომელიც ამბობენ თავისთვის: ძაო, ყურები ვაგვიქედის ერობის შემოღების ქმნით, ის იქნება ადგილობრივი ყოველივე კულტურული საგნის აღმშენებელი, რა გადასანადსაც გაიღებს ხალხი, ისეც ის ადგილობრივათ მონაარდება გზებს, სკოლებს, საავათმყოფოებს და სავა, მაგრამ ჯერ არაფერი დაკინაბავს, ფულები კი უთვალავი გადაგვახდევინეს და ვაკეთებულს ვერაფერი ვხედავთ.

აი ასე მსჯელობს ხალხის დიდი უმრავლესობა; და მართალიც არის. ყველას რომ თავი დაუანებოთ, ამ ერთი გზისთვის უსათუოდ უნდა მიექციათ დიდი ყურადღება, მაგრამ მთავრობას ერთხელაც არ გასცნებია მაგისტრის ზრუნვა, თუ რომელიმე მთავრობის წარმომადგენელს დასჭირდა აღმოსავლეთ გურიაში მგზავრობა, ის უსათუოდ ოზურგეთიდან ამბობრწინდება ავტომობილით და ისევე უკან დაბრუნდება; მათ ხომ ნახეს შამოსავლელი გზა და ხალხს თუ გინდ კისერიც უტეხია.

დაც არ ზრუნავს ამისთვის. აი ასეთ მდგომარეობაშია მოგლი აღმოსავლეთი გურიის საარსებო გზა. სიმართლის მოქმელი.

## გვანი ფოსტა

ილენისონის: წერილი არ გამოგვადგა. მოგვაწოდეთ კორესპონდენციულ ტექნიკის წიგნი ცხოვრებიდა. დამსწრეს: არ დაიბეჭდებია. ს. კ. ბ. ხარაგაულის რაიონის კომიტეტს: დაგვიანებულია. მიწის მუშა ზურგს: არ გამოგვადგა. გამოგზავნეთ კორესპონდენციული ადგილობრივ მუშათა ცხოვრებიდან. კეშმარცხ: დრო გადასულია და დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა. მარქისც ანასტაშვილს: არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

## განხილვა

### გამომცემელი „ნოთაული პარსკვლავი“ გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომავლადი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპელი. ვინ სტუდენტია? ფ. 1 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპელი. ინტერნაციონალი დომის საკითხი. ფ. 15 მ.

### იბეჭდება:

### გამზადილია დასაბეჭდათ:

8. ბუხარინი და პრენობრენსკი. კომუნისმის აზნანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა ხანაში და მსოფლიო რევოლუციის პროლეტარიატის საფუძვლი.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნისმი.
12. პეტროვი. პროლეტარებო ყველ ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლუციის აუვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური კომიტეტის მიმართვა კავშირისადი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მითხვსებულა პასკვირის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დღის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. ბ. თბილისის საფუძვნილი კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკვირის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დღის 9—12 საათამდე.

ს. კ. ბ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქოვის ქუჩა, № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. ბ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭო ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ) ბიურო ღიაა დღის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. ბ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭო ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წიგნების ჩაწერა და ძველი წიგნების რედაქცია.

ბიურო ღიაა დღის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. ბ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭო ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წიგნების ჩაწერა და ძველი წიგნების რედაქცია.

ბიურო ღიაა დღის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.